საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი

30-სექტემბერი 2013 წ.

შესყიდვის საგანი: ქ. ხობის რაიონ სოფელ ხეთაში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის („პროფტექნიკუმი") ორი კორპუსის გარე კანალიზაციის აღსადგენად ჩასატარებელი სამუშაოებისთვის (გამფილტრავი სადგურის მოწყობა) საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N939; 11.09.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:
- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:
-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:
- გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:
1. ქ. ხობის რაიონ სოფელ ხეთაში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის („პროფტექნიკუმი") ორი კორპუსის გარე კანალიზაციის აღსადგენად ჩასატარებელი სამუშაოებისთვის (გამფილტრავი სადგურის მოწყობა) საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის" **(N939; 11.09.2013)** შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N939; 11.09.2013)** მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N939; 11.09.2013)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 1 (ერთი) კონკურსანტი:

1. **შპს „ბ.დ. ჯგუფი";**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინდადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. **(ოქმი N2, 16.09.2013წ)**

კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს **1 500 (ერთი ათას ხუთასი ლარი)** ლარს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, **შპს „ბ.დ. ჯგუფი"**-ს მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა გია

ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ. ხობის რაიონ სოფელ ხეთაში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის (,,პროფტექნიკუმი") ორი კორპუსის გარე კანალიზაციის აღსადგენად ჩასატარებელი სამუშაოებისთვის (გამფილტრავი სადგურის მოწყობა) საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხილულ იქნა მხოლოდ . შპს „ბ.დ. ჯგუფი"-ს საკონკურსო წინადადება, რომელიც ძირითადში შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს შპს „ბ.დ. ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, შემოთავაზებული ფასისა და არქიტექტურული კონცეფციის გათვალისწინებით და ერთხმად მოიწონეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. შპს „ბ.დ. ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში (N939; 11.09.2013) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბ.დ. ჯგუფი"-ს საკონკურსო წინადადება.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:
2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.
2.2. შპს „ბ.დ. ჯგუფთან" სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 01/02-10/46682
30/09/2013

46682-01/02-10-2-201309301808

შპს "ზ.დ ჯგუფი"- ს დირექტორს

ბატონ ბორის დგებუაძეს

ბატონო ბორის,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა 2013 წლის 11 სექტემბერს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებული ელექტრონული „კონკურსის" **(N939; 11.09.2013)** შედეგები და ქ. ხობის რაიონ სოფელ ხეთაში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის („პროფტექნიკუმი") ორი კორპუსის გარე კანალიზაციის აღსადგენად ჩასატარებელი სამუშაოებისთვის (გამფილტრავი სადგურის მოწყობა) საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ზ.დ ჯგუფი"- ს საკონკურსო წინადადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში (ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა) შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პატივისცემით

გოგი ფაცაცია

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმძღვანელობა